ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ -019 პარასკევი, 20 დეკემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 2019

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.	1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „**მოამბეს**“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისთანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ეღირება.

მომავალ წელს „**მოამბე**“-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის **ლ. ნ. ტოლსტოის** რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი** № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. პ. ზარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ხ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ.)

წარმოდგენა 24. ტელეფონი 617

✿ **იაფ-ფასიანი წარმოდგენა** ✿

ქართული თეატრი

კვირას, 22 დეკემბერს, 1902 წელს

◆ მეათე **იაფ-ფასიანი** წარმოდგენა ◆

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

◆ **შუადღის 12 საათზე** ◆

რევიზორი

კომედია 5 მოქმ. ნ. ვ. გოგოლისა თარგმ. ალ. ჭიჭინაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ო. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომაშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი, რკინელი, ხუციშვილი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი დილის 12 საათზე

მზადდება წარმოსადგენად „**გრიგალი**“, „**დენიზა**“, „**ხიმე-ხამამრი**“, „**მედანოს თინები**“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ყწნეთის ქუჩა № 24 სახ. იაჩნაძისა. (წ).

მთავრობის განცხადება

ფინანსთა სამინისტრო

აცხადებს, რომ 1901 წლის 19 დეკემბერს უმაღლესად დამტკიცებულის მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისა, 1887 წელს გამოცემულს **ქაღალდის ფულებს 25 მანეთიანს, 10 მანეთიანს და 5 მანეთიანს** და 1866 წელს გამოცემულს **ათ თუმნიანს** (ირისეს ფერი აქვს) 1903 წლის 1-ლი იანვრიდან აღარ მიიღებს ხაზინა და კერძო ხმარებაშიაც სავალდებულო აღარ იქნება. ამ ქაღალდის ფულების ახალზე შეცვლა 1-ლი იანვრიდან-ვე შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს უმთავრესს ბანკში პეტერბურგში.

აი რა ნიშნებისაა ეს ქაღალდის ფულები: 5 **მანეთიანი, 10 მან. და 25 მანეთიანი** წინა პირის სურათი ძლიერ ლურჯის ფერითაა დაბეჭდილი მიხაკის ფერ სახე. რომელ წელიწადშიაც გამოცემულია ფული, ეს აღნიშნულია წინა პირზე ქვეით: 5 მანეთიანზე (1887 წლ. 1894 წლამდე)—მარცხენა მხარეს, 10 მანეთიანზე (1887 წ. 1892 წლამდე) და 25 მანეთიანზე (მხოლოდ 1887 წლისა)—შუა ადგილას.

უკანა პირზე გარდიგარდმო დაბეჭდილი სურათია, **რომელზედაც** შუაში სახელმწიფო გერბი და მარცხნით მომსხოდ დაწერილი ციფირი უზის, მარჯვნით—მანიფესტიდან ამოღებული სიტყვები, და შემდეგის ფერადებისაა ეს პირი:

5 მანეთიანი—ლურჯი
10 „ —წითელი
25 „ —სოსანი.

ათ თუმნიანი ქაღალდის ფული—ირისეს ფერია, შუაში იმპერატრიცა ეკატერინა მეორეს სურათია გამოსახული.

ყველა ამ ქაღალდის ფულების ნიმუშები გამოფენილია სახელმწიფო ბანკის კანტორებსა, განყოფილებსა და ხაზინებში.

ამიტომ, ვისაც ამ ქაღალდის ფულები აქვს, უნდა დაეშუროს და ეხლავე შეაცვლევინოს ახალზე. (3—1)

ჩვენც მოგვისმინეთ!

მომავალ წლის 3 იანვარს სრულდება 200 წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთში პერიოდული პრესსა დაიბადა. ამის გამო რუსულ პრესსის მოღვაწენი დღესასწაულს ჰმართავენ და ჰსურთ ღირსეულად აღნიშნონ მართლა-და დიდ-მნიშვნელოვანი იუბილეი. რუსეთის დედა-ქალაქებში, მოსკოვსა და პეტერბურგს, დიდ მზადებაში არიან და სხვა და სხვა პროექტებს ადგენენ დღესასწაულის ღირსეულად გადახდისათვის. ყოველივე ეს მოსაწონია და თანაგრძნობის ღირსიც, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო გარემოება: პროექტების მთხზველნი და დღესასწაულის მოთავენი თითქმის სრულიად ივიწყებენ იმ უჩინარ მოღვაწე-მუშაკთ, რომელნიც მთელ თავის ძალ-ღონეს სწირავენ ბეჭდვითი საქმეს და რომელთა მდგომარეობა დახმარებისა და ყურადღების ღირსია. მკითხველი მიმხვდარია, ალბად, რომ ჩვენ ასოთ-ამწყობებზე ვლაპარაკობთ.

საზოგადოებამ არც-კი იცის, რა ძნელი შრომა აწევს კისერზე ასოთ-ამწყობს საზოგადოდ და გაზეთის ასოთ-ამწყობს უმთავრესად. ეს შრომა ნამდვილ კატორგელის შრომაა. ყოველ დღე, 14—16 საათის განმავლობაში, ეს მუშაკი ფეხზე დგომით მუშაობს ჯანმრთელობისათვის მავნე ჰაერში; მისთვის არც უქმეა, არც შესვენება; დღესა და ღამეს არა აქვს გარჩევა, რადგან ხშირად შუაღამემდე და მერეც ხვდება მუშაობა; კვირა მისთვის არ არსებობს და დღესასწაული, რადგან თითქმის ყველა გაზეთი ამ ჟამად ორშაბათსაც გამოდის და ბევრ დღესასწაულ დღის შემდეგაც. ასეთი გამუდმებული და ცუდ პირობებში ჩაყენებული შრომა მალე ასუსტებს და წელში სწყვეტს ამ მუშაკს; სტატისტიკაც გვეუბნება, რომ სხვა მუშათა შორის ასოთ-ამწყობთა სიცოცხლე უფრო ხანმოკლეა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ასოთ-ამწყობი გასამრჯელოს მხოლოდ იმდენს იღებს, რამდენიც ყოველ დღიურ ცხოვრებისათვის არის საჭირო; ხოლო არც ავადმყოფობის ან არც სხვა უბედურების დროს არც ის, არც მისი ცოლ-შვილნი უზრუნველყოფილნი არ არიან შიმშილისა და გაჭირვებისაგან...

ყოველივე ეს, თუ საზოგადოებამ არ იცის, კარგად იციან იმ დღესასწაულის მოთავეთ, რომელთაც განუზრახავთ რუსეთის პრესსის დღესასწაულის აღნიშვნა, და სწორედ იმათ არ უნდა დავიწყებოდათ ბეჭდვითი საქმის უჩინარ მუშაკთა სვე-ბედი. უკეთესით რით უნდა აღინიშნოს დიდებული დღესასწაული, თუ არ ამ მუშაკთა მდგომარეობის შემსუბუქებით?!

რაც შეეხება იმ საშუალებათ, რომელთა შემწეობით შეიძლება ასოთ-ამწყობთა აუტანელ მდგომარეობის გაუმჯობესება, ამის გამო არა ერთხელ ამაღლებულა ხმა, რომელიც, სამწუხაროდ, დარჩენილა მხოლოდ ხმად, უდაბნოსა შინა მღაღადებლად. მიუხედავად ამისა ჩვენ გვინდა დღესაც გავიმეოროთ ჩვენი «pia desiderata» იმ იმედით, რომ თუ უბრალო დღეში არ გვათხოვეს ყური, იქნება დიდებულ იუბილეის დროს მაინც ისმინონ ჩვენი ვედრება, მით უმეტეს, რომ ბევრის ჩვენის მოთხოვნის აღსრულება მთავრობისა და სახელმწიფოს დაუხმარებლივ შეუძლიათ თვით პერიოდულ პრესსის დღევანდელ გამგე-პატრონთ.

უპირველესად ყოვლისა ჩვენთვის საჭიროა სამუშაო დღის შემცირება. ასოთ-ამწყობის მუშაობის პირობები იმდენად მძიმეა, რომ ამ პროფესიაში დღეში 8 საათის მეტი შრომა აღარ შეიძლება მუშის ფიზიკურისა და გონებრივის ჯანმრთელობის შეულახველად. ეს მოთხოვნა ადვილად აღსასრულებელია მორიგეობის (ორი შეცვლა) განწესრიგებით და სასარგებლოც არის, რადგან მცირე ხნით მომუშავეს შრომა უფრო კარგი და ნაყოფიერია, ვიდრე მთელის დღის განმავლობაში მომუშავისა.

შემდეგ, საჭიროა გაზეთების გამომცემელნი შეთანხმდნენ ურთიერთ შორის და იუქმონ კვირა დღეები და დიდი დღესასწაულები, რათა ეს დღეები მაინც შეიქმნას „შესვენებისა და სიხარულის დღეებად“ ბეჭდვითი საქმის „კატორგელთათვის“. აგრეთვე კარგი იქნება გამომცემელთა შეთანხმება იმ დღესასწაულების შესახებ, რომელთა შემდეგ შესაძლებელია ნახევარ ნომრების გამოცემა. პროვინციელ გაზეთებისათვის ყურადღების ღირსია აგრეთვე დეპეშების მიღების გაწესრიგება: ამ ჟამად ხშირია დღეები, როდესაც სააგენტოს დეპეშები შუაღამეზე მოდიან და ასოთ-ამწყობთ მთელი ღამე მუშაობა ხვდებათ. განა არ მოხერხდება დეპეშების უფრო ადრე მიღება ან და შეთანხმება, რომ ამდენისა და ამდენის საათის შემდეგ მოსულს დეპეშებს გაზეთები მხოლოდ მეორე დღეს დაბეჭდავენ?!

უდიდესი საკითხია აგრეთვე სტამბის სადგომის ავ-კარგიანობა. დღეს-დღეობით სტამბები უმეტეს შემთხვევაში სასარდაფო სართულებში არიან მოწყობილნი, სადაც ჰაე-

რის ნაკლებობა, ვენტილიაციის მოუწყობლობა, ნესტიანობა ყოვლად შეუძლებლად ხდიან მუშაობას. საჭიროა, ძალიან საჭიროა გამოიყვანონ სტამბები სარდაფებიდან და მოათავსონ ისინი უფრო ჯანმრთელ და რიგიან სადგომებში!

ასოთ-ამწყობთა ნივთიერ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად-კი დღევანდელ პირობებში უკვე კარგა ხანია მოწონებულია შემდეგი ღონისძიებანი: დაარსება სკოლებისა მოზრდილთა და ბავშვთათვის; დაარსება ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა; გამართვა კითხვებისა, წარმოდგენებისა და სხვა გონიერ გასართობებისა; დაწესება საურთიერთო დახმარების კასსებისა და სხვა-და-სხვა...

ვიმეორებთ, ყოველივე აქ ნათქვამი ახალს არაფერს წარმოადგენს და თუ ჩვენ დღესაც აღვამაღლეთ ჩვენი სუსტი ხმა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი უფროსი მოძმენი ბეჭდვითი საქმეში ახლა იმას იძიებენ და იკვლევენ, როგორ აღვნიშნოთ ღირსეულად მომავალი იუბილეიო?! ჩვენც სწორედ ამ საგანს შევეხეთ და ვუთითებთ მათ, რა იქნება უფრო ღირს შესანიშნავი და როგორი დღესასწაული უფრო შეჰფერის რუსეთის ბეჭდვითი საქმის დიდ დღეს.

ასოთ ამწყობი

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ქალაქ მონპელიეში (სამხრეთ საფრანგეთშია) დიდი საქმე ირჩევა. იქაური სასამართლო 106 ალჟირელს არაბს ასამართლებს. ამ არაბებს ბევრი მძიმე დანაშაული ჰბრალდებათ: შეიარაღებულები სოფ. მარგერიტს დასცემიან, ხალხი გაუძარცვავთ და რამდენიმე კაციც მოუკლავთ. მაგრამ ეს არაბები ყაჩაღები როდი არიან. პირიქით, სულ მშვიდობიანი ხალხნი არიან. ესენი ხვნათესვასა და საქონლის ყოლას მისდევდნენ. და თუ ფრანგ კოლონისტების სოფელზე დაცემა გაჰბედეს, ეს სარწმუნოებრივ ფანატიზმს უნდა დავაბრალოთ. ამათი უფროსი და ხელმძღვანელი ვინმე იაგუბი და იმის თანაშემწე ტაალბი ყოფილან. იაგუბი და ტაალბი ნამდვილი ფანატიკოსები არიან. ამათ დიდი გავლენა და ძალა მოიპოვეს თავიანთ ქვეყანაში და დაარწმუნეს ხალხი: დროა ევროპიელებს დავეცეთ, ძალით მაჰმადის რჯულზე მოვაქციოთ და რაც მამულები და სახლები წაგვართვეს, ისევ უკან დავუბრუნოთ ჩვენს ხალხსაო. ერთს მშვენიერ დილას იაგუბმა თავის თავი წინასწარმეტყველად გამოაცხადა, თავისი მიმდევრები შეჰკრიბა, ცხენებზე შესხა და ფრანგ კოლონისტების სოფელს მარგერიტს დაეცა: ვინც გზაში „ურჯულო" შეჰხვდათ, ყველა ძალით მაჰმადის რჯულზე მოაქციათ; ვისაც უარი ეთქვა, ან ვერ გაეგო, რასა სთხოვდნენ, უმოწყალოდ მოჰკლეოდნენ. ბოლოს სოფ. მარგერიტსაც დასცემოდნენ და იქაც ამნაირადვე მოქცეულიყვნენ. ამას გარდა სახლები დაეძარცვათ, რაც კი ძვირფასი რამ შეჰხვედროდათ, წაეღოთ და მხოლოდ დედაკაცებისათვის არ გაეცათ ხმა. არაბების წინააღმდეგ მახლობელ ქალაქიდან დაუყოვნებლივ ჟანდარმებისა და ცხენოსანს ჯარის რაზმი გაეგზავნათ. არაბები ისე იყვნენ გატაცებულნი, რომ ძლიერ გაბედულად დაეცნენ ამ რაზმსაც: წინასწარმეტყველმა დაარწმუნათ, „ურჯულოების" ტყვია ვერას დაგაკლებთო. მაგრამ ჟანდარმებმა და ჯარის კაცებმა ხელად დაარწმუნეს არაბები, რომ ლებელის თოფის (საფრანგეთის ჯარში ლებელის თოფს ჰხმარობენ) ტყვიისაგან ვერც ერთი შელოცვა ვერ იხსნის კაცსა და არაბები გაიქცნენ. მერე ყველანი დაიჭირეს, ფრანგ კოლონისტების ჩვენებით ზოგს მკვლელობა დააბრალეს, ზოგს ძარცვა, ყველას ერთად კიდევ აჯანყება და იარაღით ხელში სოფელზე დაცემა და ნაფიცთა სასამართლოში მისცეს. მაგრამ მთავრობას შეეშინდა, რომ აღელვებული და გაცეცხლებული ფრანგი კოლონისტები ქალ. ალჟირში ძლიერ უმოწყალოდ არ მოჰქცეოდნენ ამ არაბებს და ამიტომ ამათი საქმის გარჩევა მონპელიეს სასამართლოს დაავალა: მონპელიეში სასამართლოცა და საზოგადოებაც ცოტაოდენ მიუდგომლობას მაინც გამოიჩენენო.

როგორც ჰხედავთ, იაგუბისა და იმის მიმდევრების დაცემა სოფ. მარგერიტზე სარწმუნოებრივ ფანატიზმის ბრალია. მაგრამ მცოდნე ხალხი ამბობს: მთელი ეს აჯანყება სულ ეკონომიურმა გაჭირვებამ, მოხელეების ბოროტ-მოქმედებამა და სოციალურმა უსამართლობამ ასტეხაო. მცოდნე ხალხნი ამბობენ: ადგილობრივი მოხელეები და ევროპიელი კოლონისტები ისე თავხედად და აშკარად რომ არა სძარცვავდნენ და ისე უსამართლოდ არ ექცეოდნენ ალჟირელ არაბებს, ეს აჯანყებაც აღარ მოხდებოდაო; მაგრამ ალჟირის მოხელეებმა და კოლონისტებმა სწორედ თავი შეაძულეს არაბებს, ევროპიელის სახელიც კი შეაზიზღეს, უკანასკნელ დღეში ჩააყენეს და ამიტომ აღარც გასაკვირველია, რომ ატაცებულ კაცის სიტყვებმა არაბები ისე ადვილად ააფეთქა, როგორც ნაპერწკალმა თოფის წამალიო.

მართლაც-და საზარელი წესები სუფევს სამხრეთ ალჟირის სოფლებში. დიდი ხანია ყველამ იცის, რომ ფრანგი მოხელეები და კოლონისტები არაბებს მამულებსა, ტყეებსა და საძოვრებს სტაცებენ, დიდ ქრთამებსა და უდიერ სარგებელს ართმევენ და იმათ გაჭირვებითა და უვიცობით ათასნაირად სარგებლობენ, მაგრამ იმ ადგილებში, სადაც იაგუბი და იმისი მიმდევრები სცხოვრებდნენ, თურმე ისეთი ამბები ხდებოდა, რომ გასაგონადაც კი საზარელია. ადგილობრივი მოხელეები უმოწყალოდა და შეუბრალებლად ექცევიან არაბებს და მწვანილის ფასად მამულებს ართმევენ. ამ ხერხის წყალობით მამულის პატრონი არაბები სულ კოლონისტების მოჯამაგირედ, მონახევრეთა და იჯარადრად გადიქცნენ.

ალჟირელი მოხელეები თითონაც ხომ ართმევენ არაბებს მამულებსა და ტყეებს, ამას გარდა არანაირ უსამართლობას არ ერიდებიან, რომ არაბების ტყე და მამული ევროპიელ კოლონისტების ხელში ჩაიგდონ. ამისათვის მოხელეებმა უფლება მისცეს არაბებს თავიანთ ნაწილი მამული როგორც უნდათ, ისე მოიხმარონ, თუმცა არაბებს აქამდე მამულები გაყოფილი არა აქვთ და მთელ საგვარეულოებს საერთოდ უჭირავთ მამულები. ჩარჩი კოლონისტებიც სარგებლობენ ამ წესით და არაფერ ხრიკსა და უსინიდისობას არ ერიდებიან, რომ ბედოვლათ არაბებისაგან იმათი წილი მამული შეისყიდონ. ამით კოლონისტს კანონიერი უფლება ეძლევა მთელის გვარის მამული საჯაროდ გააყიდვინოს. არაბებს არასდროს არა აქვთ ფული, რომ თავიანთ საკუთარი მამული დაიხსნან, ამიტომ მთელის საგვარეულოს მამული უსინიდისო ჩარჩის ხელში გადადის. ამის შემდეგ ჩარჩი არაბებს თავიან საკუთარ მამულში ისე ამუშავებს, როგორც მონახევრეებს. თუ ნებით ვერას გახდნენ, მოხელეები არც არაბების ტანჯვასა და წამებას მოერიდებიან ხოლმე.

არაბებიც, რასაკვირველია, რითაც კი შეუძლიანთ, სამაგიეროს უხდიან ევროპიელ კოლონისტებს: საქონელს სტაცებენ და მინდვრებიდან მომკილ-პურს ეზიდებიან ჩუმად; უფრო გამბედავი და ყოჩაღი არაბები ყაჩაღად გავარდებიან ხოლმე. ერთმა ყაჩაღმა არაბმა არესკიმ სთქვა სასამართლოში:

„თუ მე ყაჩაღად გავხდი, ეს სულ ჩვენის მოხელეების ბრალია. მამაჩემს 150 ჰეკტარი მამული ჰქონდა, ბევრი ინდის ხურმისა და ზეთისხილის ხეც ედგა, მაგრამ ჩვენმა მოხელეებმა ყველაფერი ხელიდან გამოაცალეს და მთლად დამღუპეს".

რაღა გასაკვირველია, რომ არაბებმა აჯანყება მოახდინონ. თითონ ისეთ დინჯ კაცს, როგორიცაა ვალდეკ-რუსსო, უთქვამს: არაბებს საშინელმა ეკონომიურმა გაჭირვებამ, მოხელეების ძალ-მომრეობამ და საზოგადოთ საზარელმა წესებმა გააბედვინეს სოფ. მარგერიტზე დაცემაო.

საქსონია. დეპეშებიდან მკითხველებს უკვე ეცოდინებათ, რომ საქსონიის ტახტის მემკვიდრის მეუღლემ და მომავალმა დედოფალმა, პრინცესსა ლუიზამ ქმარს თავი მიანება და გულის მეგობართან ერთად ჟენევაში ამოჰყო თავი. რა თქმა უნდა, საქსონიის მეფის მთელ ოჯახსა და ნათესავებს ამ ამბავმა თავ-ზარი დასცა. მხოლოდ ათის დღის შემდეგ გამოაქვეყნეს, ისიც ყრუდ და მოკლედ, რომ პრინცესსა ლუიზა გაიქცაო; თანაც დაუმატეს, ალბად, პრინცესსა სრულ ჭკუაზე აღარ არისო. მაგრამ ეს მეორე ნახევარი ტყუილი გამოდგა: პრინცესსა ისევე სრულ ჭკუაზეა ეხლა, როგორც წინად იყო. მიზეზი პრინცესსას გაქცევისა ახალგაზრდა და ლამაზი ფრანგი ჟირონია, პრინცესსას შვილების მასწავლებელი. თვით ლუიზაც ლამაზი ქალია, ამბობენ, ორ-სამი წელიწადია ერთმანეთი უყვართ პრინცესსასა და ჟირონსაო. ბოლოს რომანის ამბავი ქმარსაც და მაზლობელთ გაუგიათ და ამას წინად ადმინისტრატიულის წესით კიდეც გაუძევებიათ საქსონიიდან ჟირონი. პრინცესსას დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელს საქსონიაში. მხიარულს, ცოცხალს პრინცესსას ყველა სიხარულით უხვდებოდა და ეგებებოდა. თვით პრინცესსაც არაფერს არ ერიდებოდა. ერთხელ თავის ბიძის ქალთან ერთად ველოსიპედით დრეზდენის ქუჩებშიაც გაისეირნა. სამაგიეროდ ოჯახში ყველანი უკმაყოფილებას აცხადებდნენ პრინცესსის ასეთ თამამ ყოფა-ქცევის გამო. ხშირად ოთახშიაც ამწყვდევდნენ და გარედ არ უშვებდნენ. რა თქმა უნდა, ყველა ამას არა ერთი და ორი უსიამოვნება მოჰყვებოდა. ხელს უწყობდა ამას პრინცესსას ქმრის, ერც-ჰერცოგის ფრიდრიხ ავგუსტის მძიმე ხასიათიც. ამას გარდა ფრიდრიხ-ავგუსტი, მღვდლების მიერ აღზრდილი, მეტად ღვთისმორწმუნე კაცია, ლუიზა-კი ეკკლესიასა და სარწმუნოებას მაინცდამაინც არაფრად აგდებდა. თორმეტის წლის განმავლობაში პრინცესსას ხუთი შვილი ეყოლა. ეტყობა, ძალიან მოჰბეზრებია სასახლეში ცხოვრება და ამასთან ძალიან შეჰყვარებია ახალგაზდა ფრანგი, რომ ყველაფერს თავი მიანება, სიმდიდრესაც, დიდებასაც, შვილებსაც, და სხვა ქვეყანაში წავიდა. დრეზდენიდან წასვლისას პრინცესსას განზრახვა არავინ იცოდა. იგი ჯერ ზალცბურგში წასულა თავის მამასთან, ტოსკანის დიდ ჰერცოგთან, მაგრამ, როდესაც მამას ცივად მიუღია, დაუგრავს ფეხი და ჟენევაში ამოუყვია თავი. საყურადღებოა, რომ პრინცესსას განზრახვას ერთად-ერთი კაცი მიჰყვებოდა თანაგრძნობით. ეს კაცი პრინცესსას უფროსი ძმაა, ერც-ჰერცოგი ლეოპოლდ-ფერდინანდი, რომელსაც გაუცილებია კიდეც თავისი და ჟენევამდე. დაზე ნაკლებად არც ეს ლეოპოლდ-ფერდინანდია საინტერესო კაცი. ამას წინად ფერდინანდმა წერილი გაუგზავნა მთელის გვარის უფროსს, ავსტრიის იმპერატორს და სთხოვა, განმათავისუფლეთ ყოველ-გვარ ხარისხისაგან და ამომშალეთ საიმპერატორო გვარეულობიდანაო. ამასთან ერც-ჰერცოგს თავისი ორდენებიც დაუბრუნებია. იმპერატორმა თანხმობა განაცხადა. ეხლა წინანდელი ტახტის მემკვიდრე ლეოპოლდ ვოლფლინგის სახელით სცხოვრობს ჟენევაში. ამ ცოტა ხანში ჯვარის წერაცა აქვს. ირთავს ცოლად მსახიობ ქალს, გვარად ადამოვიჩს.

ახალი ამბავი

◆ დღეისათვის დანიშნულია **ქართ. დრამატიულ საზოგადოების კრების გაგრძელება.** კრება მოხდება საღამოს 7 საათზე, ტფილისის სამეურნეო ბანკის დარბაზში.

◆ კვირას, 22 დეკემბერს, ხოჯივანქის სასაფლაოზე, განსვენებულის სომეხ-გრიგორიანთა მწერალ-პუბლიცისტის **გრიგოლ არწრუნის** საფლავზე პანაშვიდი იქმნება გადახდილი, რომლის შემდეგ ძეგლს უკურთხებენ ამ მწერალს.

◆ გუბერნატორს უცნობებია მაზრის

ფელეტონი

უმაღლესი სახალხო სკოლები შვეციაში

(დასასრული)*)

უმაღლეს სახალხო სკოლებში იღებენ ყმაწვილ კაცებს, 18 წლისაზე უფროსებს. ჩვეულებრივ მოსწავლენი 18—25 წლისანი არიან. ასწავლიან შემდეგ საგნებს: შვედურ ენას, ისტორიას, გეოგრაფიას, სათემო წყობილებას და კომუნის კანონებს, შვეციის სახელმწიფო წყობილებას, ბუნების-მეტყველებას, მათემატიკას, გამიჯვნას, ხაზვა-ხატვას, ბუჰალტერიას, კალიგრაფიას და გალობას. კითხულობენ ლექციებს და ამ კითხვის დროს თითქმის ყოველთვის კამათი იმართება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ იმ სკოლას უფრო დიდი ნაყოფი მოაქვს, სადაც მეტი თავისუფლება და ამხანაგური დამოკიდებულებაა მასწავლებელ-მოსწავლეთა შორის. მასწავლებელი სცდილობს კითხვა-პასუხით გამოარკვიოს ყოველივე წვრილმანი საგნისა.

უმთავრეს საგანს მაინც თვით შვეცია შეადგენს, იმისი ისტორია, გეოგრაფია, სათემო და სახელმწიფო წეს-წყობილება. ყველაზე დიდ ყურადღებას ისტორიას აქცევენ. აი რასა სწერს ერთი დირექტორი სახალხო სკოლისა: „უმაღლესმა სახალხო სკოლამ უნდა გაუღვიძოს კაცს ადამიანობის გრძნობა და აღძრას იმის გულში სიძულვილი ძალმომრეობის იდეისადმი. ამ შემთხვევაში ისტორიის შესწავლას დიდიდი მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ისტორიის მეოხებით შეიტყობს მშრომელ ხალხის მოზარდი თაობა, რომ თავისუფლება საუკეთესო თავმდებია კულტურულ მსვლელობისა, ხალხის წარმატებისა და აღყვავებისა. იმავე ისტორიიდან გაიგებს იგი, რომ მცირე რიცხოვანი, მაგრამ კულტურული ერი ყოველგან და ყოველთვის თავგამოდებით იცავდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, ზნე-ჩვეულებებს, კანონებს, საზოგადოდ ყველა იმას, რაც ერის სულსა და გულს, იმის წმიდათა წმინდას შეადგენს. კაცის თვალ წინ იშლება საოცარი სურათი წვრილ ერთა დაჩაგვრისა, ძალ-მომრეობისა და უსამართლო ბატონობისა. ამავე ისტორიით გაიგებს ახალგაზრდა კაცი, რომ ზოგიერთ წვრილ ერებს საოცარის მხნეობით დაუცავთ თვით-მყოფელობა იმ დროს, როდესაც ძალ-მომრეობა, წამება და სახრჩობელა იყო გაბატონებული."

ისტორიის შემდეგ დიდ ყურადღებას აქცევენ სათემო კანონებს და წეს-წყობილებას. ამ საგანს უფრო პრაქტიკულად ასწავლიან. სკოლის მოსწავლეთაგან სდგება თემი, რომელიც ირჩევს გამგეობას და თანამდებობის კაცებს: ერთი განაგებს შემოსავალ-გასავალს, მეორე გზებს, მესამე საავადმყოფოებს და სხვა; იმართება არჩევნები, კრებები, აქვთ დავთრები და ყოველგვარი წიგნები. ყველა ამის წყალობით მოსწავლენი სულ მცირე ხანს ითვისებენ კანონებს და ყოველ საქმეს სათემო წეს-წყობილებისას. ამ საგნის სწავლების დროს შეჰხვდება კაცი სკოლაში მახლობელ სოფლების გლეხებს, რომელნიც გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს კამათს.

სამშობლო გეოგრაფიასაც დაწვრილებით ასწავლიან. აცნობენ ადგილობრივ ბუნებას, შესანიშნავ ადგილებს; ამას გარდა უკითხავენ ლექციებს ცხოვრების პირობათა შესახებ შვეციის სხვა-და-სხვა კუთხეში, საქარხნო მრეწველობისა, გზებისა და სხვათა შესახებ.

მათემატიკას იმდენს ასწავლიან, რამდენსაც ასწრობენ მოსწავლენი კურსის განმავლობაში. გეომეტრიაში ჩვეულებრივ მთელ პლანიმეტრიის გავლას ასწრებენ. ვაჟები ხალისით ეკიდებიან მათემატიკას, სამაგიეროდ ქალებს ჰირივითა სძულთ. გამიჯვნის საქმეს თეორეთიულად ასწავლიან სახელმძღვანელოების შემწეობით; მხოლოდ გაზაფხულზე ურიგებენ მოსწავლეებს საჭირო იარაღს მინდვრად ადგილების გასაზომად და გადასაღებად. ამასთან სალებავებიც აქვთ გეგმების ფერადებით შესამკობად. ამ საქმეს დიდის ხალისით ასრულებენ მოსწავლენი. არც ხაზვა-ხატვაა უყურადღებოდ დატოვებული. ახაზვინებენ და ახატვინებენ გეოგრაფიულ რუკებს, გეომეტრიულ ფიგურებს, ავეჯს, სამეურნეო იარაღს, გეგმებს, სარდაფებს და სხვას.

ანგარიშისა და წიგნების წარმოების საქმეში ასწავლიან იმას, რაც სოფლის მეურნეობისათვის არის საჭირო. ასწავლიან აგრეთვე სავაჭრო ანგარიშს, ხოლო ქალებს—მეოჯახეობისათვის საჭირო ანგარიშს.

დიდი დრო აქვს დათმობილი სამშობლო ენას. ასწავლიან, სხვათა შორის, გრამატიკას, გარკვეულ კითხვას, თარგმნას დანიურსა და ნორვეგიულიდან, რწმუნების ქაღალდებისა, მოწმობებისა, წერილებისა და პატარ-პატარა თხზულებების შედგენას. ყველა ამას გარდა მოსწავლეებს უკითხავენ შვეციის ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს და გამოჩენილ პოეტთა და მწერალთა ბიოგრაფიებს.

დაწვრილებით ასწავლიან ბუნების-მეტყველებას, რადგანაც თვით გლეხებს ბუნებასთანა აქვთ საქმე. კითხულობენ ლექციებს ქიმიასა, ფიზიკასა და გეოლოგიიდან; ამასთან აჩვენებენ სურათებს, ცხრილებს, იარაღს და სხვას. ქალები ამას გარდა სწავლობენ სამზარეულო ქიმიას, ფიზიოლოგიას და მარტივ ჰიგიენას. დიდ ყურადღებას აქცევენ ბავშვის მოვლა-პატრონობას, ჰაერისა და წყლის

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2017.

უფროსებისათვის: სენატის გადაწყვეტილებით, ყველა ის მამული, რომელიც გადასახადთა სიაში არ მოხვდა, **უთუოდ უნდა შეტანილ იქმნას ამ სიაში და გაწერილ იქმნას მაზე საერობო გადასახადი**. ამას გარდა ის ქარხნები, ფაბრიკები, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი, რომელიც კავკასიის ქალაქებს გარეშე არიან, უთუოდ უნდა იხდიდნენ 2% საერობო გადასახადს და ისე, რომ ეს გადასახადი დღიდან იმათ გახსნისა იქმნეს გაწერილი.

◆ ოთხშაბათს, 18 დეკემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა **საჯარო ვაჭრობა** ქალაქის მამულების (ტფილისის გარდა) გასასყიდად. გასასყიდი იყო 13 მამული, გაიყიდა აქედან 7 მამული, ხოლო 6 მამულისათვის ხელ-მეორე ვაჭრობა დაინიშნა 8 იანვრისათვის. გაყიდულ 7 მამულზე თავნი ვალი იყო 28,653 მან. 16 კ. დარჩენილი გადასახადი 1376 მ. 14 კ. გაუყიდნიათ 37352 მან. მამული გაეყიდა 2 ქართველს, 2 თათარს, 1 სომეხს და 1 გერმანელს. დღეს ბანკში გაიყიდება სოფლის მამულები.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის ქუჩებისა და მოედნების **ელექტრონით განათების** პროექტი „ჰელიოსი“-ს საზოგადოებისა ქალაქის გამგეობამ განსახილველად წარუდგინა გუბერნიის სამმართველოს. გუბერნიის სამმართველომ ეს პროექტი გაუგზავნა კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს და სთხოვა, შეატყობინოს თავისი მოსაზრებანი.

◆ გუშინ გუბერნატორმა, წყალთა უწყების ინსპექტორმა, პოლიცმეისტერმა და ქალაქის გამგეობის წევრმა ენფიანჯიანცმა **დაიარეს მტკვრის ნაპირები** იმის გამოსაკვლევად, რომ ადგილობრივ აღნიშნონ, რა ადგილამდე შიძლება შენობებისა თუ წყლის ნაპირა ქუჩის გამოწევა. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, გ. გ. ყორღანოვის თხოვნით, შესაძლებლად სცნო ამ კომისიამ ნაპირა ქუჩის გამართვა ვერის ხიდის კუთხიდან ცალკე კედლის გავლებით; ნიკოლოზის ხიდის ყურში ასეთივე ნება დართეს ბ-ნ მარტირუზოვს მტკვრის პატარა ტოტზე. მტკვრის მარცხენა ნაპირას, ავლაბრის მეორე ხიდთან ამასვე თხოულობდა ბ-ნი ნუნუფაროვი, მაგრამ ამას ჯერ პლანი მოსთხოვეს ადგილისა.

◆ ტფილისის ვაჭრებმა თავისის მხრით **ობოლთა სასამართლოს წევრად აირჩიეს** ვაჭარი იერემია გულაზოვი, მაგრამ ამ უკანასკნელს უარი გამოუცხადებია. გამგეობას გუბერნატორისათვის მოუხსენებია და ამას მოუწერია, გულაზოვს, როგორც პირველად არჩეულს, უარის თქმა არ შეუძლია და თუ არ მოისურვა ობოლთა სასამართლოს წევრობა, პასუხის გებაში მივსცემ, როგორც ამას თვით კანონი მოითხოვსო.

◆ ჟურნალის „კავკაზსკი ვესტნიკ“-ის რედაქტორ-გამომცემელს ვ. დ. ყორღანოვსა და ტფილისის გაზეთების ზოგიერთ თანამშრომელთ სათხოვარი აღუძრავთ, **„კავკასიაში ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოების“** წესდების პროექტი დამტკიცებულ იქმნეს. ეს პროექტი ცალკე კომისიის მიერ არის შედგენილი და, როგორც გაზეთ „კავკაზ“-ს შეუტყვია, საგუბერნიო მთავრობას უკვე წარუდგენია მთავარ-მართებლისათვის დასამტკიცებლად.

◆ იმავე გაზეთის სიტყვით, „შრომისა და განცხადებების კავკასიის ფურცელი“-ს რედაქტორ-გამომცემელს ტფილისში ნ. ი. თამამშევს მთავარ-მართებლისათვის უთხოვნია **გაზეთის პროგრამის შევსება** ახალის განყოფილებით: 1) ქარხნებისა და ფაბრიკების შემოკლებული ამბები, 2) კავკასიის სხვა-და-სხვა ამბები და შემთხვევები შემოკლებით და 3) კავკასიის სხვა ადგილებიდან წერილები. ამას გარდა თხოულობს ნება მიეცეს, ყოველ კვირა საოხუნჯო დამატება გამოსცეს დასურათებული.

◆ ამას წინად დაბეჭდილი გვქონდა, რომ ვენაში **ავსტრო-რუსეთის სავაჭრო საზოგადოება დაარსდა** და აქაურ სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტს მოჰმართა, ადგილობრივ ნაწარმოებთა ნიმუშები გამოგვიგზავნეთ, რომ ჩვენს მუზეიში მოვათავსოთ ვენაშიო. კომიტეტს აქაურ მრეწველთა და მექარხნეთათვის მიუმართავს, დაგვეხმარეთ ნიმუშები შევკრიბოთ და ვენას გავგზავნოთო.

◆ რადგან მომავალის წლის ქალაქის **ხარჯების შედგენას** გამგეობის საამშენებლო განყოფილება აგვიანებს, ამის გამგე წევრი ტ. ენფიანჯიანცი დროებით გაანთავისუფლეს ამ გამგეობისაგან, რომ განსაკუთრებით ხარჯების ანგარიშს შეუდგეს და დროზე შეადგინოს. საამშენებლო განყოფილება კი დროებით მეორე წევრს გამგეობისას ბ-ნ კოკჩაევს ჩააბარეს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა თ. ნ. ვ. ჩერქეზიშვილის მოხსენება **კუკიისა და ავლაბრის საძოვარ მიწების** გასაცემად ვაჭრობის შედეგის შესახებ. თავ. ჩერქეზიშვილი სწერს, უკეთესია ვაჭრობა სულ აღარ დაინიშნოს, რადგან ვაჭრობაზედ ერთი და იგივე კაცები მოდიან და ასეთს ვაჭრობას სასურველი შედეგი არ მოსდევსო. თავ. ჩერქეზიშვილის აზრით, საუმჯობესოა ქალაქმა ეს საძოვარი მიწები გადასცეს ხორცის დუქნების გამგე ადმინისტრაციას საკლავ საქონლის საძოვრად იმ პირობით, რომ ადმინისტრაციამ კასაში შეიტანოს ის 6100 მან., რომელიც საჯარო ვაჭრობაზე გამგეობას კერძო პირებმა შეაძლიეს. ამასთანავე უნდა დაევალოს ადმინისტრაციას, ის თივა, რომელიც არ დასჭირდებათ, გაჰყიდონ და ფული ქალაქის კასაში შეიტანონ. გამგეობამ მიიღო თავ. ჩერქეზიშვილის წინადადება.

◆ რედაქციამ მიიღო. 1) „დაიკვნიასანი“, პოემა ბაჩანასი, გამოცემული იოსებ იმედაშვილის მიერ. ეს პოემა ჯერ არსად ყოფილა დაბეჭდილი. წიგნში ბაჩანას ორი სხვა ლექსიც არის მოთავსებული და ამას გარდა სურათი აქვს ჩართული. ღირს ერთ აბაზად. 2) „ექვთიმე ივანეს ძის ხელაძის სტამბის 30 წლის არსებობის დღესასწაულის გამო“, ზ. ჭიჭინაძისა, ფასი 10 კაპ. 3) Игра въ Ариѳметику“, ივ. როსტომაშვილისა, ფასი 5 კაპ.

◆ ვართპატრიკოვის სახლში, ნიკოლოზის ქუჩაზე დიდი ხანია ყვავილით ავად გამხდარა თურმე სამი კაცი. მეზობლებს მხოლოდ სამი კვირის შემდეგ შეუტყვიათ, რომ იმ სახლში ყვავილი მოსდებია მდგმურებს და მეზობლებმა მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს გასაფრთხილებელი საშუალება. ეს ამბავი მით უფრო გასაკვირველია, რომ ავადმყოფებთან ექიმი დადიოდა თურმე იმ თავითვე.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ყოველ დღე ბევრი საეჭვო ყოფა-ქცევის კაცი დაიარება, რომელთაც არავითარი საქმე არა აქვთ. თუ ვისმე ისეთს ხამს შენიშნვენ, რომელსაც ფული გამოაქვს, გაჰყვებიან, რომ როგორმე ფული ჯიბიდან გამოსცინცლონ. ზოგნი კიდევ თავიანთ დაფლეთილ ქუდებს კანტორაში სტოვებენ და ახლებს მიაქვთ. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

◆ 18 დეკემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება კრწანისის კუთხის მცხოვრებლებისა იმათის ქუჩის გაფართოების შესახებ. ქალაქის გამგეობამ შეუძლებლად სცნო ჯერ-ჯერობით აღნიშნულ შუამდგომლობის შესრულება. გამგეობის აზრით, უკეთესი იქნება იმათ, რომელთაც მიჰმართეს გუბერნატორს აღნიშნულ ქუჩის გაფართოების შესახებ, დაარწმუნონ მეზობლები ქუჩას გასაფართოებლად ადგილების დათმობის საჭიროებაში.

◆ წელს მარტში ღამის თავ-შესაფართა სასარგებლოდ წარმოდგენა იყო გამართული „არტისტიულ საზოგადოების“ დარბაზში. წმინდა შემოსავალი ამ წარმოდგენისა ნაანგარიშევი აქვს თავ-შესაფართა გამგე კომისიას 672 მანეთი, რომელთაგან 85 მანეთი ჯერ კიდევ აქამომდე არ არის მიღებული ზოგიერთ იმათგან, რომელთაც ბილეთები წინ-და-წინ ჰქონდათ წაღებული. გუშინ კომისიამ დაადგინა: მოვძებნოთ, ვიზე დარჩა ფული და, თუ უიმედო იქმნება იმათგან ფულის აღება, ანგარიშიდან გამოვრიცხოთო.

◆ ბ-ნ ნებაევის პროექტი ქალაქში შეშით ვაჭრობის გაწესრიგების შესახებ გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა, რადგან თავისს პროექტში ბ-ნი ნებაევი არ იძლევა რჩევას, რა საშუალება უნდა იხმაროს ქალაქმა ამისათვის, ან რომელი კანონის ძალით შემოიღოს სავალდებულო დადგენილებანი შეშით ვაჭრობის საქმეში.

◆ სოფ. ღვინიანთ-კარსა და ბადორში, დუშეთის მაზრაში, საქონლის ჭირი გაჩენილა.

◆ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში მოსამსახურეთ სადღესასწაულოდ საჩუქრებს დაურიგებენ იმ 1500 მანეთიდან, რომელიც საბჭოსაგან წინადვე დანიშნულია ამ საქმისათვის. როგორც უანგარიშნიათ, კაცის თავზე თვიური ჯამაგირი მოდის საჩუქრად.

◆ ყრუ-მუნჯთა სკოლაში შობა-ღამეს „შობის ხე“ იქმნება გამართული ამ სკოლის სამზრუნველოსაგან.

◆ ვორონცოვის ძეგლის ახლო-მახლო გამართულ სამიკიტნოებსა, რესტორანებსა, ლუდ-ხანებსა და სასტუმროებში ბევრი ქურდ-ბაცაცა დაეხეტება. იმათგან მოსვენება არა აქვთ განსაკუთრებით სოფლიდან ახლად ჩამოსულებს. 18 დეკემბერს კახეთიდან ტფილისში ჩამოსულა ლ. ქ. ქ—ძე, რომელიც იქვე რიყის ქუჩაზე ნომრებში ჩამომხტარა. ნაშუადღევის 3 საათზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, აფთიაქის წინ ქვაფენილზე შეუნიშნავს, რომ ერთ ვიღაცა ბიჭს ქისით ფული დაჰკარგნია. მეორე წასდგომია, აუღია ქისა და ქ—თვის უჩვენებია, წავიდეთ გავიყოთო. ქ—ძეს უთხოვნია, დასწეოდა და პატრონისათვის გადაეცა, მაგრამ ის არ დათანხმებულა და წაუყვანია მადათოვის კუნძულზე, ვითომ და ფულის გასაყოფად. აქ გაჩენილა მეორე ფულის დამკარგველი, რომელსაც უთქვამს, ფული დავკარგე, უთუოდ თქვენ იპოვნიდითო. ქ—ძე უარზე დამდგარა და დასაჯერებლად თავისი ქაღალდში გახვეული ფული უჩვენებია. ბოროტ-მოქმედთ ფულის ნაცვლად ქაღალდში შეხვეული კენჭი ისე ეშმაკურად შეუტყუებიათ, რომ ქ—ძეს ერთი საათის შემდეგ გაუგია, რომ ჯიბიდან 50 მანეთი ამოაცალეს.

◆ 18 დეკემბერს, ავჭალის ქუჩაზე, ცხენისრკინის გზის ვაგონით მიდიოდა თავ. იასონ ფავლენიშვილი, რომელსაც თან ჰქონდა ქაღალდში შეხვეული ჩოხა და ახალუხი. ვიღაც ქურდს ისე მოეპარა ეს ჩოხა და ახალუხი, რომ პატრონს ვერა გაეგორა. როგორც გავიგეთ, ქურდები უპოვნიათ და შეუპყრიათ

შეცდომის გასწორება. შვეციული კრონი უდრის 52 კაპეიკს და არა 25 კაპ., როგორც გუშინ წინდელ ფელეტონში იყო კორექტორის შეცდომით მოთავსებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე დეპეშით ატყობინებს ქალაქის გამგეობას, ფინანსთა სამინისტრომ შეიწყნარა ქალაქის შუამდგომლობა, რომ ხიდების შემოსავალი ქალაქის ხელში დარჩეს სამის წლის განმავლობაში 1903 წლის 22 მაისიდან დაწყებული. ხიდებიდან ქალაქს ყოველ წლიური შემოსავალი აქვს 17,000 მანეთი. რაც შეეხება ქუთაისში შემოტანილ საქონელზე საფუთო გადასახადის შემოღებას, ამის შესახებ ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, წარვუდგენ შუამდგომლობას მინისტრის ამხანაგს ბ-ნ ტიმირიაზევს, მაგრამ ეს საქმე ეხლო საბოლოოდ არ გადაწყდებაო. ამასთან იწერება, მე კვირას, ან ორშაბათს გამოვალ პეტერბურგიდანო.

◆ 12 დეკემბრისათვის სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში **გასასყიდად დანიშნული იყო** ქუთაისის გუბერნიის 80 მამული. ერთი ნაწილი ამ მამულებისა გაიყიდა, მეორე ნაწილი ბანკს დარჩა, ხოლო 16 მამული გაუყიდველია. ხელ-მეორე ვაჭრობა ამ მამულების გასასყიდად დანიშნულია 30 დეკემბრისათვის.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ განცხადებები გააკრა, რომ 24 დეკემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება ვაჭრობა ხიდების შემოსავლის იჯარით გასაცემად 1903 წლის 1 იანვრიდან ორის წლით.

◆ ქუთაისის პოლიცმეისტერს განკარგულება მოუხდენია, რომ ვაჟთა გიმნაზიის მახლობლად, 40 საჟენის მანძილზე, მომავალ წლის არავინ გახსნას ღვინის სარდაფები. ამას აუშფოთებია მედუქნეები, რომელთაც დიდი ხანია აქვთ ქარვასლის ქუჩაზე ღვინის საწყობები, და მიუმართავთ ქალაქის გამგეობისათვის, რომ ნუ აგვიკრძალავთ ვაჭრობას, თუ ჩვენს სავაჭროებში მყუდროებასა და წესიერებას არ დავარღვევთო.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ი. ი. ოცხელმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში და სთხოვა, ხმოსნობისაგან განმათავისუფლეთო.

◆ შავი-ქვის მრეწველთა მომავალ იანვრის კრებაზე ქუთაისში ტფილისის ვაჭრობისა და სამანუფაქტურო კომიტეტის წარმომადგენლად დანიშნულია კრ. კრ. ადელხანოვი.

თეატრი

ქუთაისი. სამშაბათს, 18 დეკემბერს, პეტერბურგის სალიტერატურო-სამხატვრო თეატრის დრამატიულმა დასმა პ. ნ. ორლენევის გამგეობით წარმოადგინა „Преступленіе и Наказаніе“. თუმცა დასი სუსტია, მაგრამ ორლენევმა (რასკოლნიკოვი) კარგის თამაშობით ხალხი დაატკბო. სულაც ხმა რომ არ ამოეღო, იმისი გრიმი, თვალების მოძრაობა და მიხვრა-მოხვრა საკმაო იყო, რომ სავსებით ამოგვეკითხა მისი სულის მდგომარეობა. ასეთი იყო, მაგალითად, სცენა მარმელადოვთან პირველ სურათში. უფრო კარგი იყო მეოთხე სურათში, სადაც სტუდენტს რაზუმიხინს სასაცილოდ იგდებს. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

დონ-ბაზილიო

დაბა-სოფლები

ეწერი (იმერეთი). ჩვენ სოფელში არავითარი სასარგებლო დაწესებულება არ არსებობს. კარგი იქმნება მეზობელ სოფლისაგან მაინც ავიღოთ მაგალითი. ჩვენ გვერდით დიდ-ჯიხაიშში არსებობს სასოფლო ბანკი, სამარხო კასსა და საზოგადო ქსენონი; სამტრედიაში—სასოფლო ბანკი და ქსენონის დაარსებაზედაც ჰქონდათ მოლაპარაკება; გორა-ჯიხაიშში—სასოფლო ბანკი. ჩვენ საზოგადოებას კი არც ერთი და არც მეორე არ მოუპოვება. ამ ერთის წლის წინად რამდენმამე კაცმა ლაპარაკი აღძრა საზოგადოების წინაშე გადავაგდოთ დღესასწაული, რომელსაც ხალხის გამადატაკებელი ხარჯი მოსდევს, და დავარსებინათ სასოფლო ბანკი, მაგრამ რჩევამ არ იმოქმედა და დაგრჩით ისე. ჩვენსკენ ძალიან არის ფეხ-გადგმული მევახშეობა. არიან ისეთი ვაჭატონები, რომელთაც შეუძენიათ ორიოდე გროში და გაუხდიათ ხელობად მევახშეობა. თუმანში ექვს-რვა მანეთს ახდევინებენ და ხან პირის-პირსაც. თუ გაწყრა ღმერთი და ერთი დღე გადაცილდა ვადას, იმ წამს სასამართლოში გარბიან და ხელ მოკლე კაცს ორ-სამ თუმანში ოთხ-ექვს თუმანს ახდევინებენ და საქმის საწარმოებელსაც სხვას ატეხენ კისერზე. აი, აქ იყო საჭირო სასოფლო ბანკის დაარსება, საიდანაც ხელმოკლეს შეეძლე-

---

სიწმინდეს, ლოგინს, საცვალს, სხეულს. ამაების შესახებ ლექციებს ახალგაზდა ქალებს ქალებივე უკითხავენ.

სამღვთო სჯული პროგრამაში არ შედის. ხშირად თვით მასწავლებელნი ჰმართავენ კრებებს; საუბრის საგანს ამ კრებებზე საღმრთო ისტორია შეადგენს. სამაგიეროდ სიმღერა-გალობა ერთ უმთავრეს საგნად არის გადაქცეული. სკანდინაველთა ცხოვრებაში სიმღერას ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა და სკოლებშიაც ამიტომ აქცევენ ასეთ ყურადღებას. სცდილობენ განამტკიცონ საუკეთესო სახალხო სიმღერები და განდევნონ ტრაქტირ-ყავახანებში შედგენილი სიმღერები. ყოველი ლექცია სიმღერით იწყება და სიმღერითვე თავდება.

ლექციების კითხვასა და საზოგადოდ სწავლის საქმეს კვირაში 46 საათს ანდომებენ, მაშასადამე, დღეში 7 საათზე ცოტა მეტი მოდის. წელიწადში 2—4-ჯერ იმართება სკოლაში დღესასწაულები. ამ დღესასწაულებს ესწრებიან გარეშე გლეხებიც; შენობას შვეციისა, ნორვეგიისა და დანიის დროშებით ამკობენ, მღერიან, ლექსებს და სიტყვებს ამბობენ და სხვ.

აი, ასეთია უმაღლესი სახალხო სკოლები შვეციაში. დიდი, მეტად დიდი ნაყოფი გამოიღეს ამ სკოლებმა, ხოლო ამისი მიზეზი სრული თავისუფლება და ის ამხანაგური დამოკიდებულებაა, რომელიც სკოლებში სუფევს მასწავლებელ-მოსწავლეთა შორის. მასწავლებლისათვის არავითარი სისტემა, არავითარი პროგრამა არ არის საჭირო, თვით უნდა შეიმუშავოს ერთიცა და მეორეც. მოსწავლეებისაგანაც შესვლის დროს არავითარ მოწმობას, ქაღალდს ან ატესტატს არა თხოულობენ, იღებენ ყველა მსურველს, ვისაც სწავლის წყურვილი აქვს და ვინც ანაბანა იცის. გათავების დროსაც მოწმობებსა და ატესტატებს არ აძლევენ, მაგრამ ახალგაზრდობა მაინც ბლომად ეტანება სკოლებს.

„ჩვენ გვინდა,—ნათქვამია ერთ სკოლის წესდებაში,—გაუღვიძოთ ახალთაობას უკეთესის ცხოვრების სურვილი და დავანახოთ ახალი იდეალები. გვინდა მეტი ნათელი მოვფინოთ, რომ ცხოვრების საგანი და აზრი ჭაბუკისათვის უფრო დასანახი და გასაგები შეიქმნეს. გვინდა შევაყვაროთ ყველას თავისუფლება, რადგანაც მარტო-ოდენ თავისუფლება აფართოვებს თვალთა ხედვის ისარს, გვაყვარებს შრომასა და მშვიდობიანობას, გვასწავლის ჩვენისა და სხვის სიცოცხლის დაფასებას“.

„უმაღლეს სახალხო სკოლას,—ნათქვამია მეორე წესდებაში,—სამოქალაქო ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამ სკოლამ ხალხს თვალები უნდა აუხილოს და ცხოვრების სინამდვილეში გზა-კვალი გაუკაფოს. სკოლამ უნდა გააგებინოს და შეაგნებინოს ოჯახის ყოველ წევრს, რა მოვალეობა მიუძღვის ღვთისა, თავის თავისა, ოჯახისა და საზოგადოების წინაშე“...

ი. ა—ძე.

ბოლოს საჭიროების დროს მცირე სარგებლით ხელის მონაცვლება.

ჩვენსკენ ძლიერ სუსხიანი და ცივი ზამთარია. თოვლიც გვესტუმრა და საშინელი ქარ-ყინვებია; მაგრამ ყოველივეს როგორც იქნებოდა გავუძლებდით, რომ გზები და ბოგირები მოგვეცა. ზოგგან გზები ისე გაფუჭებულია, რომ ქვეითი მგზავრიც ვერ გაივლის. ეხლა იკითხეთ ადგილობრივ სკოლის პატარა მოწაფეების გაჭირვება; ბევრ მშობელს ცხენით ან ურმით მიჰყავს ბავშვები სკოლაში. მეეტლებიც არ ითმენენ ნაკლებ გაჭირვებას. ხშირად იძულებულნი ხდებიან სადაც ბოგირები ჩამტვრეულია ან არ არის, წინ გაუძღვენ ცხენებს და დიდის ვაი-ვაგლახით გაიყვანონ ეტლი.

დიზპინეიშვილი

ღია წერილი

ბ. ვ. ა. სტაროსელსკის*)

მოწყალეო ხელმწიფევ! უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში მე რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა გამეგონა, რომ თქვენ ავრცელებთ ხმას, ვითომც ჩემ მიერ სოფ. დიმში (ქუთ. მაზრა). „კლდე-ქვეყურულში" დარგული ვაზი—გიბრიდი—უვარგისი ჯიშის და რომ მემამულენი უნდა ერიდებოდნენ მის ყიდვასა და დარგვას. მე საფუძველი არ მქონდა დამეჯერებინა ასეთი ხმა, რადგან უკანასკნელ დროს მე არა ერთჯერ დამიბეჭდია ფრანგულსა და რუსულ გამოცემებში სტატიები, რომლებითაც აღმნიშნავს ხსენებულ ვაზის მნიშვნელობა ქუთაისის გუბერნიაში მევენახეობის აღდგენის საქმეში, მაგრამ თქვენ არც ერთხელ არ დაგიწერიათ ამის საწინააღმდეგო პასუხი. მხოლოდ გასულ ნოემბრის ბოლოს მე წავიკითხე კავკასიის მევენახეთა 1901 წლის საერთო კრების ანგარიში, რომლიდანაც გავიგე, რომ, თქვენის აზრით, ჩემ მიერ დარგული ვაზები ნდობის ღირსნი არ არიან. ბოლოს, 29 იმავე ნოემბერს, ქ. ქუთაისში, „ფრანციას"-ს სასტუმროში, საგუბერნიო აგრონომის ტიმოფეევისა, ინსტრუქტორის ვაწაძისა, ნაფიცის ვექილის შევალიესა, მემამულეს წურინოვისა, სამთო ინჟინრის ზერნეცკისა და მარგანეცის მრეწველის ემერიკის დასწრებით, თქვენ მომმართეთ მე შემდეგის სიტყვებით: მე სამართალში მიგცემთ იმერეთში მავნე ვაზის გავრცელებისა გამო.

მიუხედავად ყოვლისა ამის მე განზრახვა არა მაქვს სასამართლოში გიჩივლოთ, მაგრამ მოუთმენლად მოველი თქვენის მუქარის ასრულებას, რადგან თქვენ იძულებული იქნებით გადასწყვიტოთ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთათვის მეტად საგულისხმიერო საკითხი არა მუქარით, არამედ განმარტებითა და საბუთებით, რომელნიც დაფუძნებული უნდა იყვნენ საკუთარს გამოცდილებაზე.

ვ. ტიებო

„კლდე-ქვეყურული"
15 დეკემბერი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 დეკემბერი

ვენა. ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდმა მიიღო გრაფი ლამსდორფი.

პარიზი. ვენესუელას უთანხმოების ჰააგის სამედიატორო სამართლისათვის გადაცემის გამო პოლიტიკის წრეებში ლაპარაკია. „ჟურნალ დე დება" და სხვა გაზეთები ჰხარობენ, რომ უთანხმოება მშვიდობიანად გათავდება. „კორესპონდანს პოლიტიკ"-ი ამბობს: ამ ამბავმა უნდა გაახაროს რუსების გული, რომელიც ერთნაირად სცემს თავისის მეფის გულთან. სამართლიანობის იდეალის მომხრენი თანამოზიარენი არიან სიხარულისა—ხალხთა შორის უთანხმოებათა სამედიატორო სამართლით გარჩევა საყოველთაო მშვიდობიანობას დიდს სამსახურს გაუწევს.

ვენა. იმპერატორმა ლამსდორფი მიიღო. აუდიენციამ $^3/_4$ საათისა გასტანა. გაზ. „ცაიტ"-ი იუწყება, რომ კანცელარიის სეკრეტარის სავინსკის მნახველი ამბობს: ბალკანეთში მოგზაურობისაგან გრაფ ლამსდორფმა ის რწმენა გამოიტანა, რომ ბოლგარელებსა და მაკედონელთ ესმით, არ უნდა შეუშალონ ხელი ხელმწიფის სამშვიდობო სურვილებს და დაიმედებულნი უნდა იყვნენ რუსეთის მშვიდობიანად მოქმედებაზე. ლამსდორფი დარწმუნებულია, რომ ბალკანეთის დამშვიდების მძიმე საქმე კეთილად გადაწყდება.

აუდიენციის შემდეგ იმპერატორმა თავისის ხელით უბოძა ლამსდორფს დიდი ჯვარი წმ. სტეფანეს ორდენისა.

„ნოიე ფრაიე პრესსე" იუწყება: ხელმწიფე იმპერატორის სახელობით ლამსდორფს ჰსურს ბოლგარელების მოთხოვნილებანი ისე დააკმაყოფილოს, რომ მაკედონიაში ეხლანდელი მდგომარეობა შეუცვლელი დარჩეს (status quo). მაკედონიაში ქრისტიანე გუბერნატორის დანიშვნა ვერ შესცვლის იქაურ მდგომარეობას.

პარიზი. ლუბემ გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს 10 ათასი ფრანკი ანდიჟანში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

ასხაბადი. სოფელს ასაკაში დაზარალებულთათვის სასადილოს ჰმართავენ. ბამბის საწმენდი ქარხნები ასაკაში გადარჩა, თუმცა კედლები დაუსკდა. დაზიანებულ ეკკლესიას აღარ დაანგრევენ.

ფერგანის გუბერნატორი გენერალ-გუბერნატორს სწერს: „ხელმწიფე იმპერატორის მოწყალებისა და ყოველთაგან გამოცხადებულის მეცადინეობის შემწეობით უბედურება შეასუსტეს".

იალტა. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული შვილებითურთ 17 დეკემბერს პეტერბურგს წავიდნენ.

დელი. ვიცე-კოროლი, ჰერცოგი კონაუტისა და ჰერცოგის მეუღლე და დიდი ჰერცოგი ჰესენისა დიდებულად მიიღეს სამხედრო ბანაკში. მიდიოდნენ: ლორდი კერზონი მეუღლით, ჰერცოგი კონაუტისა მეუღლით მორთულსა და შეკაზმულს სპილოებზე; ამათ მიჰყვებოდნენ ინდოეთის პრინცები, დიდი ჰერცოგი ჰესენისა კარეტაში, ლორდი კიტჩენერი და პროვინციის გუბერნატორები. მკვიდრნი სალამს აძლევდნენ.

19 დეკემბერი

პეტერბურგი. 17 დეკემბერს აკურთხეს დედათა იოვანნეს სახელობის ახალი მონასტერი. სწირეს მიტროპოლიტმა ანტონიმ და ამ მონასტრის დამაარსებელმა იოვანნე სერგიევმა.

ბერლინი. „რაიხს-ანცაიგერ"-ში დაბეჭდილია სატარიფო კანონი 1902 წლის 12 დეკემბრისა.

მელილლა მიღებულია დამამშვიდებელი ცნობები. მელილლას მიდამოებში კაბილები მშვიდობიანად არიან. შეიხებმა მეგობრული განწყობილება გამოუცხადეს ესპანიას.

ფეცი. სულთანის წინააღმდეგ თვალ საჩინოდ უკმაყოფილონი არიან სურსათ-სანოვაგის გაძვირების გამო.

ტანჟერი. ბენიდერები და სხვა ხალხები ემუქრებიან ტეტუანს. ფეციდან არავითარი ცნობა არ მოდის; ალბად, წვიმებმა შეაფერხა შიკრიკების გამოგზავნა.

კონსტანტინეპოლი. დღეს დაიწყო ბაირამი. სულთანმა მიიღო დიდებულთა მილოცვანი დოლმა-ბახჩეს სასახლეში.

გაიხსნა ახალი რუსული სკოლა ორივე სქესის ბავშვთათვის; სკოლას ინახავს რუსის ბერები

ვაშინგტონი. კასტრო თანახმაა იმ წინადადების მუხლისა, რომელიც გასარჩევად უნდა წარუდგინოს სამედიატორო სასამართლოს.

გიბრალტარი. ოთხი ინგლისელი გემი მოვა აქ და დარჩება შემდეგ განკარგულებამდე.

შანჰაი. ინგლისის კონსულმა ჰანკოუში წინადადება მისცა სინ-ფუს მისიონერებს ფრთხილად იყვნენ და ურჩია ცოლ-შვილი ნავთ-სადგურებში გაჰგზავნონ.

რომი. „ტრიბუნა" იტყობინება, რომ მაროკოს სულთანის თოფ-იარაღის ქარხნის დირექტორი, იტალიელი პოლკოვნიკი ფერრარა ფეცს მისულა; მაშასადამე, ფეცისათვის აჯანყებულთ ჯერ ალყა არ შემოურტყამთ.

ვენა. „ნოიე ფრაიე პრესსე" იტყობინება, რომ იმპერატორმა არ მიიღო მინისტრების თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.—ლამსდორფმა ერც-ჰერცოგ ფრანც-ფერდინანდთან ნახევარი საათი დაჰყო.

ეკატერინოსლავი. დაწესდა სამაზრო აგრონომების თანამდებობანი, აგრეთვე საგუბერნიო და სამაზრო სამეურნეო საბჭოები და სამეურნეო საჭიროებათა ფონდი.

ხარკოვი. იუზოვკას ახლო ქვა ნახშირის მაღაროში ცეცხლის გაჩენის მიზეზი ყოფილა მუშათა ზედამხედველის გაუფრთხილებლობა. ცოცხალი ამოიყვანეს 11 კაცი, რომელნიც მიწის ქვეშ იყვნენ 60 საათი და 21 კაცი, რომელთაც ოთხი დღე და ღამე დაჰყვეს; ამოიღეს 58 მკვდარი.

ვენა. დღეს გრაფ ლამსდორფთან სადარბაზოდ იყვნენ გარეშე საქმეთა მინისტრი გოლუხოვსკი, მინისტრ-პრეზიდენტი კერბერი, მინისტრები ვიტტეკი და გარტელი, საიმპერატორო კაბინეთის უფროსი შნელი, იტალიის ელჩი და სხვანი. 6 საათზე ჰოფბურგის სასახლეში გაიმართა სადილი, რომლის დროს გრაფი ლამსდორფი იმპერატორის მარჯვნივ იჯდა.

ტანჟერი. ფეციდან იტყობინებიან, რომ 11 დეკემბერს კონსულები წავიდნენ გარეშე საქმეთა მინისტრთან მოსალაპარაკებლად; მათ არაფრის არ უნდა ეშინოდესთ. ახალის ცნობებით მართლდება ამბავი სულთანის ჯარის სასტიკ დამარცხების შესახებ. აჯანყებულთა მეთაურის გავლენამ სიდი-ალლამდე მიაღწია, ფეციდან ათის მილის მანძილზე; ამასთანავე მას მოლაპარაკება აქვს სხვა ხალხებთანაც.

ხარკოვი. საგუბერნიო საერობო კრებამ გადასდო სამაზრო ერობათათვის 150 ათასი მანეთი სკოლათა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მოსკოვი. ერობის ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლთან ერთად, პროტესტი განაცხადა ყველა საცხოვრებელ სადგომებზე გადასახადის დაწესების წინააღმდეგ.—დღეს გაიხსნა ხირურგთა კრება.

ვენა. დღეს ალმოაჩინეს საშუალება, რომლის შემწეობით უნდა მოხდეს შეთანხმება ორსავე მთავრობათა შორის.

---

*) ვ. ა. სტაროსელსკის მოღვაწეობა, როგორც მკითხველთაც მოეხსენება, დიდად სასარგებლო და პატივსაცემია. რაც ბ. სტაროსელსკიმ შეჰქმნა იმერეთში, მხოლოდ ის არის საკმარისი ვიგულისხმოთ, რომ ბ. სტაროსელსკი საზოგადო ინტერესით ხელმძღვანელობს და ბ. ტიებოსთან პირადი საქმე არა აქვს. თუ ჩვენ ამ წერილს ვბეჭდავთ, მხოლოდ ის გვსურს—სიმართლე გამოირკვას და ბ. ტიებოს სანერგეს შესახებ ნამდვილი ამბავი გავიგოთ.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ელიზავეტინსკაისა და ქსენიევსკაიას ქუჩების კუთხეში, № 124, ცხვარაძის სადურგლო სახელოსნოში შემთხვევით ისყიდება: 1 გარდერობი, დასაკეცი შკაფი გარგად გაკეთებული და 8 საპარიკმახერო სავარძელი, აგრეთვე სხვა-და-სხვა ავეჯი: 1 დივანი, 2 სავარძელი და 6 ნახევარ-სავარძელი. (2—481—1)

ზ ი ს
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
კურის მოედანზე, ვაფხანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754. (წ.).

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—83)

ცინკოგრაფია
ტფილ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37½.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღება შესაკერად ყოველგვარი ხელ-საქმე: თეთრეული, ფერადის ძაფებით შესაკერავები და **კაბები** ქალებისა და ბავშვებისათვის.
ბარონის ქუჩა № 12. (უ. 12—5)

Подписавшіеся на 1903 г. до 25-го декабря 1902 г. получатъ журналъ и приложенія за ноябрь и декабрь 1902 г. безплатно.

60 №№ | 14 книгъ. | Открыта подписка на 1903 годъ на | 5 руб. годъ. | Разсрочка.

новый ОБЩЕДОСТУПНЫЙ журналъ
ЮРИСТЪ
подъ редакціей Прис. Пов. Н. П. Карабчевскаго и Л. Д. Ляховецкаго.

Въ журналѣ принимаютъ участіе: С. А. Андреевскій, Л. А. Базуновъ, С. М. Барацъ, А. В. Бобрищевъ-Пушкинъ, И. Г. Гальперштейнъ, В. Н. Герардъ, А. С. Гольденвейзеръ, М. Л. Гольдштейнъ, I. М. Гордонъ, О. О. Грузенбергъ, В. М. Дорошевичъ, Д. А. Дриль, Л. О. Зейдеманъ, А. Д. Коротневъ, М. И. Кулишеръ, Б. Ф. Кутыловскій, Л. А. Куперникъ, Д. Л. Левинъ, В. А. Маклаковъ, М. С. Маргуліесъ, П. П. Мельниковъ, П. Г. Мироновъ, С. А. Муромцевъ, М. И. Мышъ, Ф. И. Оссецкій, А. Я. Пассоверъ, Н. Б. Полыновъ, Г. О. Розенцвейгъ, Ѳ. Ѳ. Трозинеръ, А. Н. Турчаниновъ, И. М. Тютрюмовъ, Ѳ. А. Червинскій, Н. П. Шубинскій, Г. М. Эттингеръ, А. А. Ябл оновскій и др.

Съ закономъ сталкиваться приходится каждому. Незнаніе закона не есть оправданіе. Между тѣмъ законы вѣдаютъ только спеціалисты. Цѣль „Юриста" прійти на помощь русской публикѣ, мало знакомой съ законами и не привыкшей вовсе разбираться въ вопросахъ права. Популяризація дѣйствующихъ законовъ и основныхъ правовыхъ понятій въ общедоступномъ, литературномъ изложеніи составитъ ближайшую задачу „Юриста". На ряду съ этимъ „Юристу" предстоитъ, считаясь съ юридической безпомощностью русской публики въ дѣлѣ практическаго осуществленія своихъ правъ и примѣненія законовъ, давать своимъ подписчикамъ на возникшіе въ ихъ практикѣ вопросы права и примѣненія законовъ безплатные печатные отвѣты въ особомъ отдѣлѣ журнала.

Подписавшіеся до 25-го декабря 1902 г. получатъ:

60 №№ ЖУРНАЛА. Болѣе 2000 стр. текста, заключающаго въ себѣ статьи спеціалистовъ по всѣмъ отраслямъ права въ общедоступномъ литературномъ изложеніи, фельетоны, русскую и заграничную судебную хронику, обзоръ юридической жизни провинціи, обзоръ общей и спеціально-юридической печати по вопросамъ права, отчеты по судебнымъ дѣламъ и консультаціонные отвѣты редакціи по правовымъ вопросамъ, возбужденнымъ самими подписчиками.

14 КНИГЪ *Библіотеки «Общедоступный Юристъ»* **КНИГЪ 14**

Болѣе 3000 ст. текста
обыкн. книжн. форм. убористой печати на плотн. бумагѣ.

1. „Характер. изв. русск. судебн. орат." (гг. *Плевако, Пржевальскаго и Шубинскаго*) Л. Д. Ляховецкаго.
2. „Образцы и формы дѣловыхъ бумагъ", И. Г. Гальперштейна.
3. „Вексель", С. М. Бараца.
4. „Опека и попечительство", И. С. Вольмана.
5. „1-й Сборникъ выдающихся русскихъ судебн. процессовъ" подъ редакціей Л. А. Базунова и М. С. Маргуліеса.
6. „Бракъ и разводъ по русскому законодательству", В. И. Добровольскаго.
7. „1-й Сборникъ выдающихся иностранныхъ судеб. процессовъ" перев. Г. О. Розенцвейга.
8. „Наслѣдство", В. З. Фридштейна.
9. „2-й Сборникъ выдающихся русскихъ судебн. процессовъ" подъ редакціей Л. А. Базунова и М. С. Маргуліеса.
10. „Малолѣтніе и несовершеннолѣтніе преступники", А. Д. Коротнева подъ ред. Н. П. Карабчевскаго.
11. „2-й Сборникъ выдающ. иностранныхъ судебн. процессовъ" перев. Г. О. Розенцвейга.
12. „Усыновленіе и узаконеніе" К. Н. Шматкова.
13. „Обвиняемый до суда", А. С. Атабекова подъ ред. Н. П. Карабчевскаго.
14. „Пренія сторонъ въ уголовн. процессѣ", Ѳ. А. Вольценштейна подъ ред. Н. П. Карабчевскаго.

Подписавшіеся послѣ 25-го декабря 1902 г. получатъ только 52 №№ журнала (съ 1-го января 1903 г.) и 12 книгъ приложеній (№№ 3—14).

Цѣна на годъ съ дост. и перес. 5 руб. *Допускается разсрочка:* при подпискѣ 2 руб.—къ 1-му марта 2 руб. и къ 1-му мая 1 р. *Или* первые пять мѣсяцевъ по 1 руб.—Подписка принимается въ Гл. Конт. „Юриста", С.-Петербургъ, Невскій пр., д. 108 *и во всѣхъ книжн. магаз.*

Издатель Прис. Пов. Н. Б. Полыновъ.
Редакторы { Прис. Пов. Н. П. Карабчевскій. Прис. Пов. Л. Д. Ляховецкій.

(3—2)

Дозв. ценз. Тифлисъ, 19 декабря, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).